

ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გასამართი აუქციონის ფორმის, ქონების უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/„ბე“-ს და „ბიჯი“-ს ოდენობების, აუქციონის პირობისა და ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დამთავრების დროის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 119-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 699 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 12 ოქტომბრის N გ-65.65222863 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილ იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტები:

- 1.1 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 797 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.561), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი;
- 1.2 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 575 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.273), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9200 (ცხრა ათას ორასი) ლარი;
- 1.3 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 1846 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.274), საწყისი საპრივატიზებო საფასური 27300 (ოცდაშვიდი ათას სამასი) ლარი;
- 1.4 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 100 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.615), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;
- 1.5 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 253 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.616), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2530 (ორი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი;
- 1.6 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმურში მდებარე 420 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (ს/კ 31.05.23.063), საწყისი საპრივატიზებო საფასური 10800 (ათი ათას რვაასი) ლარი.

2. ვადაგაგრძელებულ აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილ იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტები:

2.1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 18210 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.248), საწყისი საპრივატიზებო საფასური 18210 (თვრამეტი ათას ორას ათი) ლარი;

2.2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედავანში მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.02.22.078) განთავსებული შენობა-ნაგებობა (დემონტაჟი) საწყისი საპრივატიზებო საფასური 100 (ასი) ლარი;

3. ვადაგაგრძელებულ, პირობიან აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილ იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტი:

3.1. ქ. ვანში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ არსებული 600 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.30.966), საწყისი საპრივატიზებო საფასური 20000 (ოცი ათასი) ლარი.

4. განმეორებით აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილ იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტი:

4.1 ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 42-ში მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 31.01.24.207), საწყისი საპრივატიზებო საფასური 450000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

4.2 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 2138 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.07.28.200), საწყისი საპრივატიზებო საფასური 55000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/„ბე“-ს და „ბიჯი“-ს ოდენობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

6.1 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 797 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.561), საწყისი საპრივატიზებო საფასური 800 (რვაასი) ლარი, „ბე“ 500 (ხუთასი) ლარი, „ბიჯი“ 50 (ორმოცდაათი) ლარი;

6.2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 575 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.273), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9200 (ცხრა ათას ორასი) ლარი, „ბე“ 5000 (ხუთი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 100 (ასი) ლარი;

6.3 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 1846 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.274), საწყისი საპრივატიზებო საფასური 27300 (ოცდაშვიდი ათას სამასი) ლარი, „ბე“ 5000 (ხუთი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 200 (ორასი) ლარი;

6.4 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 100 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.615), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი, „ბე“ 500 (ხუთასი) ლარი, „ბიჯი“ 50 (ორმოცდაათი) ლარი;

6.5 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 253 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.616), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2530 (ორი ათას ხუთას ოცდაათი) ლარი, „ბე“ 1000 (ათასი) ლარი, „ბიჯი“ 100 (ასი) ლარი;

6.6 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმურში მდებარე 420 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (ს/კ 31.05.23.063), საწყისი საპრივატიზებო საფასური 10800 (ათი ათას რვაასი) ლარი, „ბე“ 3000 (სამი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 100 (ასი) ლარი;

6.7. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 18210 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.248), საწყისი საპრივატიზებო საფასური 18210 (თვრამეტი ათას ორას ათი) ლარი, „ბე“ 10000 (ათი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 200 (ორასი) ლარი;

6.8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედავანში მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.02.22.078) განთავსებული შენობა-ნაგებობა (დემონტაჟი) საწყისი საპრივატიზებო საფასური 100 (ასი) ლარი, „ბე“ 50 (ორმოცდაათი) ლარი, „ბიჯი“ 10 (ათი) ლარი;

5.9. ქ. ვანში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ არსებული 600 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.30.966), საწყისი საპრივატიზებო საფასური 20000 (ოცი ათასი) ლარი, „ბე“ 10000 (ათი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 200 (ორასი) ლარი;

6.10. ქ. ვანში, თამარ მეფის ქ. N 42-ში მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 31.01.24.207), საწყისი საპრივატიზებო საფასური 450000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი, „ბე“ 200000 (ორასი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 2000 (ორი ათასი) ლარი;

6.11. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 2138 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.07.28.200), საწყისი საპრივატიზებო საფასური 55000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, „ბე“ 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი, „ბიჯი“ 1000 (ათასი) ლარი;

7. მე-3 მუხლით, ვადაგაგრძელებულ, პირობიან აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილი ობიექტის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

7.1. ქონების შემძენი ვალდებულია, ქ. ვანში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ არსებულ 600 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.30.966) მოაწყოს ცხოველების და ფრინველების ბაზრობა

8. ელექტრონული აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2022 წლის 03 ნოემბერი 15⁰⁰ საათი, დამთავრების დროდ - 2022 წლის 14 ნოემბერი 15⁰⁰ საათი.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.